ინფორმაცია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის
განთავსების ნებართვის გაცემისათვის ელექტრონული აუქციონის შესახებ

1 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი აცხადებს ელექტრონულ აუქციონს:
გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემისათვის ლოტი №37-ზე.

ა. ნებართვის მიღების საწყისი წლიური საფასური შეადგენს 234 /ორას ოცდათოთხმეტი/ ლარს.
ბ. „ბეს“ რაოდენობა შეადგენს 71 /სამოცდათერთმეტი/ ლარს.
გ. ბიჯი განისაზღვროს 100 /ასი/ ლარის ოდენობით.
დ. ნებართვის მფლობელისათვის ნებართვის გადაცემის ვადა შეადგენს 5 წელს, ვადა აითვლება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მოწმობის გაცემის დღიდან.
ე . გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიმღები, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან ანგარიშსწორებას ახდენს ყოველწლიურად.
ვ. სანებართვო პირობა: №37 ლოტით განსაზღვრულ ადგილზე თითოეული სარეკლამო საშუალება უნდა მოეწყოს მიწისპირა ნიშნულიდან არანაკლებ +2.60 მ.-ისა. სარეკლამო საშუალება უნდა წარმოადგენდეს თანამედროვე მასალებით დამზადებულ მოცულობას, რომლის გაბარიტული ზომები არ უნდა აღემატებოდეს ჰორიზონტალურად 0.75 მ. სიგრძეს და ვერტიკალურად 2,60 მ. სიგრძეს. ხოლო სიგანე უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 0.25 მ.-ს. სარეკლამო საშუალება უნდა იყოს კონსტრუქციულად მდგრადი, თანამედროვე საშუალებებით განათებული, უნდა შეეფერებოდეს ქალაქის იერსახეს, სამშენებლო ნორმებსა და წესებს, ასევე საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობას.

2.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი აცხადებს ელექტრონულ აუქციონს:
გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემისათვის ლოტი №39-ზე.

ა. ნებართვის მიღების საწყისი წლიური საფასური შეადგენს 1188 /ათას ას ოთხმოცდარვა/ ლარს.
ბ. „ბეს“ რაოდენობა შეადგენს 357 /სამას ორმოცდაჩვიდმეტი/ ლარს.
გ. ბიჯი განისაზღვროს 100 /ასი/ ლარის ოდენობით.
დ. ნებართვის მფლობელისათვის ნებართვის გადაცემის ვადა შეადგენს 5 წელს, ვადა აითვლება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მოწმობის გაცემის დღიდან.
ე. გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიმღები, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან ანგარიშსწორებას ახდენს ყოველწლიურად.
ვ. სანებართვო პირობა: №39 ლოტით განსაზღვრულ ადგილზე ფარების მაჩვენებელი სარეკლამო საშუალება უნდა მოეწყოს მიწისპირა ნიშნულიდან. სარეკლამო საშუალება უნდა წარმოადგენდეს თანამედროვე მასალებით დამზადებულ მოცულობას, რომლის გაბარიტული ზომები არ უნდა აღემატებოდეს ჰორიზონტალურად 1.80 მ. სიგრძეს და ვერტიკალურად 5.50 მ. სიგრძეს. ხოლო სიგანე უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 0.35 მ.-ს. სარეკლამო საშუალება უნდა იყოს კონსტრუქციულად მდგრადი, თანამედროვე საშუალებებით განათებული, უნდა შეეფერებოდეს ქალაქის იერსახეს, სამშენებლო ნორმებსა და წესებს, ასევე საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობას.

3.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი აცხადებს ელექტრონულ აუქციონს:
გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემისათვის ლოტი №40-ზე.

ა. ნებართვის მიღების საწყისი წლიური საფასური შეადგენს 2130 /ორი ათას ას ოცდაათი/ ლარს.
ბ. „ბეს“ რაოდენობა შეადგენს 639 /ექვსას ოცდაცხრამეტი/ ლარს.
გ. ბიჯი განისაზღვროს 100 /ასი/ ლარის ოდენობით.
დ. ნებართვის მფლობელისათვის ნებართვის გადაცემის ვადა შეადგენს 5 წელს, ვადა აითვლება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მოწმობის გაცემის დღიდან.
ე. გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიმღები, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი აღმასრულებელ ორგანოსთან ანგარიშსწორებას ახდენს ყოველწლიურად.
ვ. სანებართვო პირობა: №40 ლოტით განსაზღვრულ ადგილზე სარეკლამო საშუალება უნდა მოეწყოს მიწისპირა ნიშნულიდან არანაკლებ +0.10 მ.-სა. სარეკლამო საშუალება უნდა წარმოადგენდეს თანამედროვე მასალებით დამზადებულ მოცულობას, რომლის გაბარიტული ზომები არ უნდა აღემატებოდეს ჰორიზონტალურად 2.50 მ. სიგანისა და ვერტიკალურად 7.10 მ. სიგრძისა. სარეკლამო საშუალება უნდა იყოს კონსტრუქციულად მდგრადი, თანამედროვე საშუალებებით განათებული, უნდა შეეფერებოდეს ქალაქის იერსახეს, სამშენებლო ნორმებსა და წესებს, ასევე საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობას.

აუქციონში მონაწილეობის წესი და პირობები

1. ელექტრონული აუქციონის ფორმით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი შეიძლება იყოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების პროცესში მონაწილეობის უფლების მქონე ფიზიკური პირი ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

2. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად სავალდებულოა:

ა) შესაბამის ვებ-გვერდზე დარეგისტრირება (რეგისტრირდებიან როგორც ფიზიკური, ასევე, იურიდიული პირები);

ბ) რეგისტრაციის დროს ელექტრონული აუქციონის წესების გაცნობა და მათზე თანხმობის გაცხადება;

გ) პირობებიანი აუქციონის შემთხვევაში, ელექტრონული აუქციონის პირობების გაცნობა;

დ) საბანკო დაწესებულების მეშვეობით, აგრეთვე, „ინტერნეტბანკინგის“, საბანკო პლასტიკური ბარათისა და სხვა ელექტრონული საშუალებების მეშვეობით, „ბე“-ს გადახდა ან უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის წარდგენა/გააქტიურება (ელექტრონულად).

ე.ელექტრონული აუქციონის შესაბამის ვებ-გვერდზე მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომია ლოტის სრული ღირებულების გადახდის, ასევე, „ბეს“/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის გადახდის ფორმები. აღნიშნული ფორმები შეიცავს ინფორმაციას გადამხდელის, ლოტის (ლოტის სრული ღირებულების მითითებით) და აუქციონატორის შესახებ, დასახელებისა და ანგარიშის/ანგარიშების ნომრ(ებ)ის მითითებით.

ვ.ელექტრონულ აუქციონში დამარცხებულ მონაწილეებს ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია დაუბრუნდებათ ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

3. ელექტრონული აუქციონი ტარდება ონლაინ რეჟიმში.

4. ელექტრონული აუქციონის ვაჭრობის დროს ფასის მატება ჩანს ონლაინ რეჟიმში.

5. ელექტრონული აუქციონის დასაწყისად ითვლება მისი შესაბამის ვებგვერდზე გამოცხადების მომენტი.

6. ელექტრონულ აუქციონში მონაწილე პირს, რომელსაც სურს საწყისი საპრივატიზებო საფასურიდან დაიწყოს ვაჭრობა, ონლაინ რეჟიმში ამატებს ფასს (რაც ნიშნავს ნებართვის მიღების საწყის წლიურ საფასურზე ბიჯის დამატებას), რომელიც, ასევე, ფიქსირდება ონლაინ რეჟიმში. ვაჭრობა გრძელდება, მანამ, სანამ რომელიმე მონაწილე არ დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვა ითვლება გაცემულად ელექტრონული აუქციონის იმ მონაწილეზე, რომლის მიერაც, ონლაინ რეჟიმში, ვაჭრობის დასრულების მომენტისთვის, შეთავაზებული იქნება ყველაზე მაღალი ფასი.

7. თუ ელექტრონული აუქციონის დასრულებამდე (მითითებული უნდა იყოს ელექტრონული აუქციონის დასრულების ზუსტი დრო) ბოლო 2 წუთის განმავლობაში შეთავაზებული იქნება ახალი ფასი, მაშინ ფასის შეთავაზების დრო გაგრძელდება 2 წუთით, დასრულების მითითებული მომენტიდან. თუ ამ დროის განმავლობაში შეთავაზებული იქნება ახალი ფასი, დრო კიდევ გაგრძელდება 2 წუთით, სანამ არ დაფიქსირდება საბოლოო თანხა. მაგრამ, თუ დამატებული დროის განმავლობაში ახალი ფასი არ იქნება შეთავაზებული, ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება საბოლოო ფასის შემთავაზებელი პირი.

8. ვაჭრობის დასრულებისას, გამარჯვებულსა და ელექტრონული აუქციონის სხვა მონაწილეებს, ელექტრონული გზით, გაეგზავნებათ ინფორმაცია ელექტრონული აუქციონის შედეგების შესახებ, რაც ჩაითვლება ოფიციალურ შეტყობინებად.

9. თუ ელექტრონული აუქციონი არ შედგა იმ მიზეზით, რომ ელექტრონულ აუქციონში რეგისტრირებული პირები, რომლებმაც ამ წესის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გადაიხადეს ბე ან წარადგინეს/გააქტიურეს (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, არ მიიღებენ მონაწილეობას ვაჭრობაში, ელექტრონული აუქციონის მონაწილეების მიერ ამ წესის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე გადახდილი ბე ან წარდგენილი/გააქტიურებული (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია სრულად ირიცხება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

10. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემისას, აუქციონში გამარჯვებულთან გარიგების გაფორმების წესი რეგულირდება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №70 დადგენილების შესაბამისად.

11. აუქციონი იწყება 2016 წლის 4 ნოემბერს 15 საათზე და სრულდება 2016 წლის 21 ნოემბერს 15 საათზე. დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №3. ტელეფონი: 24-10-30, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია.